ევროპის საკლუბო ტურნირები
თასების მფლობელთა თასი

გასულ ოთხშაბათს ხუთი საბჭოთა გუნდი ჩაება ევროპის სხვადასხვა საფეხბურთო ტურნირებში, რომელსაც უეფა ატარებს. თბლისის "დინამო", რომელიც თასების მფლობელთა თასისთვის იბრძვის პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში საბერძნეთის ქ. სალონიკში, ამ ქვეყნის "კასტორიას" შეხვდა.

"კასტორია" (კასტორია, საბერძნეთი) – "დინამო" (თბილისი) 0:0. სალონიკი, 17 სექტემბერი. სტადიონი "კაფტაძოგლინო". 28 გრადუსი სითბო. 20 000 მაყურებელი. მსაჯი: ს. მირჩა (რუმინეთი).

"კასტორია": ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიძიდისი, კოპანოსი, სიაპანიდისი (პერგამინოსი 63), პაპავასილიუ, ლიოლიოსი, სიანძისი, ცირონისი.

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (თავაძე, 77), ყიფიანი, შენგელია (ჩქარეული, 77).

გაფრთხილებულია გაბელია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპული ტურნირები ორი რაუნდისაგან შედგება და ამდენად, საბოლოოდ გამარჯვებული სწორედ ორი შეხვედრის შედეგად ვლინდება, რომელიც ასპარეზობის მომდევნო ეტაპზე გადის, თბილისელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფრედ ითამაშეს, ცუდი სტარტი არ აუღიათ. საპასუხო მატჩს ისინი საკუთარ მოედანზე გამართავენ, რაც ყოველთვის გარკვეულ უპირატესობასთანაა დაკავშირებული. ამას ისიც ემატება, რომ "კასტორია" საერთოდ ევროპული ტურნირების დებიუტანტია, დინამოელებს კი, აქაც გარკვეული უპირატესობა აქვთ, რადგან მათ კარგა ხანია, რაც სამივე რანგის ასპარეზობას (ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფას ტურნირს) აუღეს ჭაშნიკი და საკმაო გამოცდილებაც აქვთ დაგროვილი.

მაინც როგორ წარიმართა შეხვედრა სალონიკში? მატჩში, რომელიც სიცხის გამო საკმაოდ მდორედ მიმდინარეობდა, პირველი თხუთმეტი წუთის შემდეგ აშკარა გახდა სტუმრების უპირატესობა. მათ თავდასხმას უნარიანად ხელმძღვანელობდა უკანდახეული ყიფიანი (სხვათა შორის იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ გულშემატკივრებში). მას დროულად და სახიფათოდ გაჰყავდა მეტოქის კართან პარტნიორები. ჯერ მარტო შენგელიას ორი ნაღდი შესაძლებლობა შეექმნა კარის აღების, ასეთივე შანსი დაკარგა ჩელებაძემაც. რაც შეეხება მასპინძელთა თამაშს, მათი იერიშები დინამოელთა კარის მისადგომებთან იფუშებოდა და მსაჯის საფინალო სასტვენმა ფრე აღნიშნა. წინ საპასუხო მატჩია.

"ლელო", 20 სექტემბერი, 1980 წ.